ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6365195

ნომერი: AR1954251

თარიღი : 13.03.2023

გაცემის თარიღი : 14.03.2023

გაცნობის თარიღი : 17.03.2023

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დირსიჭალის ქუჩა N1.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ცხოვრებაშვილი პ/ნ 12001018067
- თბილისი თბილისი ლილო საქნავთობის დასახლების მიმდებარედ

ორგანიზაცია:

- შპს ნია კოდი: 406211291

ნომენკლატურა :

- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი
- II კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ალექსანდრე ცხოვრებაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 12001018067

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 303.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 162.4

- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 1136.8
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 974.4
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 162.4
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 7.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 6.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 1.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვე ნ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემ დეგს:

.დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი. -> .დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტის pdf ფაილი. : მოგახსენებთ რომ სადემონტაჟო შენობის სრულყოფილი დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი უნდა მოიცავდეს:
- განმარტებით ბარათს: ტერიტორიაზე არსებული შენობების მითითებით, სადემონტაჟო პროცედურის წარმოების თანმიმდევრობის აღწერას და სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელებისას მიმდებარე მიწის ნაკვეთებზე არსებული შენობების უსაფრთხოებისა და მათზე შესაძლო უარყოფითი ზეგავლენის აცილების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას;

- არსებული სიტუაციის ამსახველ ფოტოსუტათებს.
- გენ-გეგმას.
ვინაიდან არ არის წარმოდგენილი დემონტაჟის ორგანიზაციის სრულყოფილი პროექტი, შესაბამისად ვერ ხერხდება საკითხის სრულყოფილად განხილვა და მათ შორის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გადამოწმება.შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ სამსახური კვლავ განიხილავს საკითხს და ხარვეზების არსებობის შემთხვევაში გეცნობებათ დამატებით.

წარმოსადგენია საინფორმაციო დაფა – ბანერის ამსახველი ფოტოსურათები შორი და ახლო ხედებიდან. საინფორმაციო დაფა უნდა დამაგრდეს საზოგადოებრივი სივრცეებიდან აღქმად, თვალსაჩინო ადგილზე და მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის №255 (31.05.2019) დადგენილების 19-ე მუხლის N2 პუნქტის შესაბამისად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყებამდე საინფორმაციო დაფა უნდა მოიცავდეს:

საინფორმაციო დაფაზე უნდა განთავსდეს მხოლოდ ზემოაღნიშნული მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია და დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება.

- წარმოადგინეთ საჭიროების შემთხვევაში საპროექტო სამუშოებით დაინტერესებული სუბიექტის მიერ განმცხადებლის სახელზე გაცემული მინდობილობა სათანადო წესით დამოწმებული. არ დგინდება დამკვეთის უფლებამოსილება, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 97-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მშენებლობის ნებართვის გაცემის ბოლო სტადიაზე მშენებლობის ნებართვის მაძიებელი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის ან მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის მესაკუთრე, მოსარგებლე ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი. შესაბამისად აღნიშნულის შესაბამისად შეავსეთ დამკვეთის ველი და ან წარმოადგინეთ ალექსანდრე ცხოვრებაშვილის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი მიწის ნაკვეთის მიმართ და საჭიროების შემთხვევაში მიწის ნაკვეთის მესაკუთრეების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა. წარმოადგინეთ რეესტრში რეგისტრირებული ვალდებულების საფუძვლები და საჭიროების შემთხვევაში მარიკა სოლაშვილის და ბესიკ ოქრუაშვილის სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობები მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.